ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N45

19.11.2024 წელი
14:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს, 14:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032431943-03, 14.11.2024წ.);*

   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"** *(საფუძველი წერილი #12- 032431231-03, 07.11.2024წ.);*

   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **1 826 308,6** ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით (1 763 354,7 ათასი ლარი) **62 953,9** ათასი ლარით არის გაზრდილი. ხარჯების ნაწილში, მხოლოდ ის ხარჯებია განსაზღვრული, რაც ბიუჯეტის ჭერში უნდა მოექცეს. მიუხედავად იმისა ფინანსთა სამინისტრო დაგვიმატებს, თუ არა ფულს ეს ხარჯები გასაწევია, ეს გახლავთ მიმდინარე ხარჯები, რომელსაც მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსავლებით აფინანსებს, მაგალითად ჯანდაცვის პროგრამები, სატრანსპორტო კომპანია, თბილსერვისი და სხვა. ასევე არის ხარჯების მეორე ნაწილი, სადაც გახლავთ გარდამავალი პროექტები, რომელიც დაწყებულია და შესაბამისი დაფინანსება ჭირდება, რადგან მრავალწლიანი ტენდერის გათვალისწინებით შესაბამისი დაფინანსება წლებზე გადანაწილებული. ბიუჯეტის ფორმირებაში რაიმე სიახლე არ გახლავთ, მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო რაიონული გამგეობების დაზუსტებული ბიუჯეტი, რომელიც 40 000,0 ათასი ლარით ნაკლებია აღნიშნული პროექტით წინა წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით. ასევე აღსანიშნავია ხელფასების ზრდა 10%-ით, ბაღებში ვფიქრობთ კიდევ უფრო მეტით გავზარდოთ. ველოდებით, ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის დამატებას სხვადასხვა მიმართულებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა 631 765,7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება 209 514,6 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 223 195,4 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 3 079,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 38 296,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 164 975,2 ათასი ლარი; განათლება 261 539,9 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 32 444,0 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 7 779,2 ათასი ლარი; ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 253 718,8 ათასი ლარი.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - მიზანშეწონილად მიმაჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის გადამუშავებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს კომისიის რეკომენდაციები, განსაკუთრებით სპორტული ინფრასტრუქტურის ნაწილში, ასევე მწვრთნელთა მხარდაჭერის და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების ქვეპროგრამებში უნდა მოხდეს დაფინანსების

გაზრდა, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით ქვეპროგრამებისთვის განსაზღვრული თანხის 10%-ით მაინც.

გივი ჩხარტიშვილი - დიღმის მასივის მულტიფუნქციურ ცენტრთან დაკავშირებით სასურველი იქნება, რომ 1 000,0 ათასი ლარით გაიზარდოს ბიუჯეტი, ასევე იმედი მაქვს, რომ გაიზრდება მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამაში ჩართული მწვრთნელების რაოდენობა და მათი დაფინანსება, რადგან არსებული თანხა არასაკმარისია.

ანა კილაძე - მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირების 10%-იანი სახელფასო მატება, მერიის სპორტული ა(ა)იპების თანამშრომლებსაც შეეხებათ?

ვლადიმერ ბოჟაძე - მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამას, რაც შეეხება მნიშვნელოვანია მწვრთნელთა დაფინანსების მატება და ფედერაციებისთვის კვოტების გაზრდა, რათა მეტი მწვრთნელი ჩაჯდეს აღნიშნულ პროგრამაში.

გაიოზ თალაკვაძე - 10%-იანი სახელფასო მატება ეხება მუნიციპალურ სტრუქტურაში დასაქმებულ ყველა პირს, სპორტულ ა(ა)იპებს აქვთ საკუთარი შემოსავალი და შესაძლებელია აღნიშნულის გამოყენებით, მატების განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ანა კილაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე, კომისიის დასკვნა შენიშვნებით და რეკომენდაციებით ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად" გადაეგზავნოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შემდგომი რეაგირებისთვის.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,სპორტი უფროსი თაობისთვის" დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით წესში ცვლილება ეხება მომსახურების მიმწოდებლად ქვეპროგრამაში „სპორტი უფროსი თაობისთვის" ჩართვის

მსურველი სუბიექტების მიმართ სავალდებულო მოთხოვნას საცურაო აუზის და ფიტნეს დარბაზის ერთ სივრცეში ქონას, პროექტით გათვალისწინებული ცვლილების შემდეგ პროექტს დაემატება ალტერნატიული ნაწილი, რაც სპორტულ დაწესებულებებს საშუალებას მისცემს ერთ-ერთი ობიექტის, ფუნქციონირებადი ფიტნეს დარბაზის, ან საცურაო აუზის ფლობის შემთხვევაში ქვეპროგრამაში ჩაერთოს მომსახურების მიმწოდებლად. ცვლილების მიზანია, მომსახურების მიმწოდებელი სპორტული დაწესებულებებისა და ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა, აგრეთვე, ბენეფიციართათვის მომსახურების მიღების არეალის გაფართოება. სპორტი უფროსი თაობისთვის ცენტრების ჩართულობას შეუწყობს ხელს, რადგან ძალიან ცოტაა ისეთი სპორტული ცენტრი სადაც ორივე სერვისი ერთ სივრცეში ფუნქციონირებს, ასეთი ცენტრები უფრო პრემიულ კლასს მიეკუთვნებიან და მათ ნაკლებად აინტერესებთ სოციალური პროგრამები, შესაბამისად მათ არ სურთ ჩვენთან თანამშრომლობა გარკვეული ხარჯებიდან გამომდინარე, სხვა სპორტული ობიექტები, რომლებსაც ცალკეულად აქვთ ფიტნესიც და აუზიც გამოხატავენ სურვილს და ჩაერთვებიან აღნიშნული პროგრამის მომსახურებაში.

აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ ბოჟაძე: მოგესალმებით, როგორ შეიძლება ჩაერთოს აუზით მომსახურების ნაწილში კომპანია, რომელსაც აქვს მსგავსი სერვისის მართვის გამოცდილება და ოპერირებს თბილისის სხვადასხვა სკოლაში? მაგალითად აუზით სოციალურად დაუცველი ბავშვების მომსახურების ნაწილში მერიის საქალაქო სამსახურს აქვს გარკვეული კრიტერიუმები და დადგენილი ტარიფები.

ირაკლი გვილავა: აუზით, სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მომსახურება ჩვენ სამსახურს არ ეხება, ეს სოციალური საკითხია, რომელსაც ბატონი გელა ჩივიაშვილი და მისი საქალაქო სამსახური კურირებს. ჩვენ მსგავსი რეგულაცია არ გვაქვს, შესაძლებელია მივიდეთ აღნიშნულ სკოლებში, შევამოწმოთ ყველა საჭირო პირობა, რაც წესით არის განსაზღვრული და ვითანამშრომლოთ მათთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ანა კილაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე